არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

**b r Z a n e b a №1/134**

ქ. თელავი 20 მარტი 2012 წ.

**იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის სკოლის უფლებაშეწყვეტილი პირის ადგილზე არჩევნების დანიშვნისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების, მე-20 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №209/ნ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2010 წლის 29 სექტემბერს დამტკიცებული (ოქმი №1) დებულების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1.დაინიშნოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის სკოლის უფლებაშეწყვეტილი პირის ადგილზე არჩევნები 2012 წლის 6 აპრილს;

2.განისაზღვროს საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნინო ბასილაშვილი-ასოცირებული პროფესორი (თავმჯდომარე);

ბ) მადონა ქებაძე-ასოცირებული პროფესორი;

გ) ნინო კახაშვილი-ასოცირებული პროფესორი;

3. დაევალოს საარჩევნო კომისიას არჩევნების დადგენილ ვადებში , მოქმედ კანონმდებლობასა და შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაში ჩატარება;

4.არჩევნების საორგანიზაციო (ტექნიკური) ხარჯების ანაზღაურება (საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე) განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5.კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2012 წლის 23 მარტს და დასრულდეს 2 აპრილს 18:00 საათზე;

6.კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს საარჩევნო კომისიაში შემდეგ მისამართზე: 1-ლი სასწავლო კორპუსი, მეორე სართული, ოთახი №29

7.დაევალოს საქმის წარმოებისა და საკადრო საკითხთა სამსახურს /მანანა ბეჟანიშვილი/ ბრძანების ყველა დაინტერესებული სამსახურებისათვის დროული მოწოდება;

8.დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს /ნელი ცქიტიშვილი/ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე და ვებ.გვერდზე;

9.ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

10.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.თელავი, აღმაშენებლის ქ. №41);

11.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს /დავით მახაშვილი/.

უნივერსიტეტის რექტორი თინათინ ჯავახიშვილი